

თვითმმართველი ქალაქ ბათუმის აღმასრულებელი

ორგანო - საკრებულოს თავმჯდომარე

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №02/291

ქ. ბათუმი, 19 ივნისი 2014 წ

თვითმმართველი ქალაქ ბათუმის აღმასრულებელი ორგანოს - საკრებულოს თავმჯდომარის 2014 წლის 22 აპრილის №02/203 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. ბათუმში, მ. კოსტავას ქ.№10-ში მცხოვრებთა 2014 წლის 16 მაისის №10189/25 კოლექტიური განცხადებიდან და შპს „ქერვან ტურიზმი - LTD KERVAN TURIZM“-ის 2014 წლის 02 ივნისის №46 (№11492/25) წერილიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. „ქ. ბათუმში, ზ. გამსახურდიას, ჟორდანიას და კოსტავას ქუჩებზე, სასტუმრო „Divan Suites Batumi“-ს მიმდებარედ პარკირების ორგანიზების უფლების შპს „ქერვან ტურიზმი - LTD KERVAN TURIZM“-ისათვის პირდაპირი განკარგვის წესით სასყიდლით გადაცემის თაობაზე“ თვითმმართველი ქალაქ ბათუმის აღმასრულებელი ორგანოს - საკრებულოს თავმჯდომარის 2014 წლის 22 აპრილის №02/203 ბრძანებაში შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილებები:

ა) ბრძანების მე-3 პუნქტის ა) ქვეპუნქტის ა.ა); ა.ბ) და ა.გ) ქვექვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა.ა) მოაწყოს 8 პარკირების ადგილი: ზ. გამსახურდიას ქუჩაზე - 5 პარკირების ადგილი; ჟორდანიას ქუჩაზე - 3 პარკირების ადგილი;

ა.ბ) ერთეული პარკირების ადგილისათვის გამოყენებულ იქნას არაუმეტეს 12,5 კვ.მ. მიწის ნაკვეთი;

ა.გ) სულ 8 პარკირების ადგილისათვის გამოყენებულ იქნას 100,00 კვ.მ. მიწის ნაკვეთი;“

ბ) ბრძანების მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. „პარკირების ორგანიზების უფლების წლიური საფასური პარკირების ერთეული ადგილისათვის განისაზღვროს 625,00 (ექვსას ოცდახუთი) ლარი, პარკირების ყველა ადგილისათვის კი განისაზღვროს 5 000,00 (ხუთი ათასი) ლარი.“

2. დაევალოს ქ. ბათუმის მერიას (რ. ქორიძე) წინამდებარე ბრძანების საფუძველზე შეიტანოს შესაბამისი ცვლილებები პარკირების ორგანიზების უფლების გადაცემის თაობაზე „ქ. ბათუმში, ზ. გამსახურდიას, ჟორდანიას და კოსტავას ქუჩებზე, სასტუმრო „Divan Suites Batumi“-ს მიმდებარედ პარკირების ორგანიზების უფლების შპს „ქერვან ტურიზმი - LTD KERVAN TURIZM“-ისათვის პირდაპირი განკარგვის წესით სასყიდლით გადაცემის თაობაზე“ ერთის მხრივ თვითმმართველი ქ. ბათუმის აღმასრულებელ ორგანოსა და მეორეს მხრივ შპს „ქერვან ტურიზმი - LTD KERVAN TURIZM“-ს შორის 2014 წლის 24 აპრილს გაფორმებულ ხელშეკრულებაში,

3. წინამდებარე ბრძანება გამოქვეყნდეს ქ. ბათუმის მერიის ინტერნეტგვერდზე.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი ქ. ბათუმის მერიის ინტერნეტგვერდზე

გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში, რა დროსაც მხარეს წარმოადგენს ქ. ბათუმის მერია.

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე
ირაკლი ჩავლეიშვილი